	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში; • შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება; • შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; <p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p> <p>პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება. სწავლის შეფასების სისტემა შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემის მიხედვით.</p> <p>სასწავლო კურსის/ პრაქტიკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედური შეფასება 0 – 60 ქულა;</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას 0 – 40 ქულა.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p> <p>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;</p> <p>© კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>დასკვნით გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების წინაპირობა მითითებულია სილაბუსებში.</p> <p>დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, როდესაც პროფესიული სტუდენტი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამით 51 ქულას მოიპოვებს.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე და დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 10 დღეში.</p>
<p>დადასტურება</p>	<p>კოლეჯის დირექტორის ბრძანება N3, 2015 წლის 21 ოქტომბერი (საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ)</p> <p>კოლეჯის დირექტორის ბრძანება N3, 2017 წლის 5 იანვარი და ბრძანება N14, 2017 წლის 6 მაისი (სწავლების ხანგრძლივობის შესახებ)</p>

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული

განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამა მებოსტნეს II და III საფეხურის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.

მებოსტნის მეორე საფეხურის სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულმა იცის:

მცენარის მორფოლოგიური აგებულება, მის ზრდა განვითარებაზე გარემო ფაქტორების გავლენა, ნიადაგის შედგენილობა და თვისებები; დახურული გრუნტისათვის ნიადაგის მომზადება; სათბურების ტიპები; ჩითილის გამოყვანისა და დარგვის თავისებურებები, მცენარეთა მოვლის აგროტექნოლოგიის საკითხები. შეუძლია მებოსტნეობის დარგში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის მარტივი და ერთგვაროვანი დავალებების შესრულება. მოამზადოს ქოთნები ან კასეტები თესლის დასათესად და ჩათესოს თესლი.

შეუძლია მცენარეებზე დაკვირვებით ან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ამოიცნოს პრობლემა, მცენარის საკვები ელემენტების ნაკლებობა, სხვადასხვა ტექნიკური სამუშაოს ჩატარების აუცილებლობა და გააკეთოს შესაბამისი რეაგირება.

შეუძლია მებოსტნის პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით, შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე.

შეუძლია სხვისი მითითებით ბოსტნეული მცენარეების სასუქებით გამოკვების და მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებების შესწავლა.

გათავისებული აქვს მებოსტნის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.

საგანმანათლებლო პროგრამა მებოსტნეობის III საფეხურის სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულმა იცის:

მცენარის კვების სახეები, კვების რეჟიმი, სასუქების სახეები, მინერალური და ორგანული სასუქების დოზების გაანგარიშება, ნიადაგის დამუშავების სისტემები, საირიგაციო სისტემები, თესლბრუნვა და მისი მნიშვნელობა, თესვის მეთოდოლოგია, ღია გრუნტისათვის ნიადაგის მომზადება; მცენარეთა მოვლის აგროტექნოლოგიის საკითხები, მცენარეთა დაცვის ღონისძიებები. შეუძლია მცენარეებზე დაკვირვებით ან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ამოიცნოს პრობლემა, მცენარის საკვები ელემენტების ნაკლებობა, სხვადასხვა ტექნიკური სამუშაოს ჩატარების აუცილებლობა და გააკეთოს შესაბამისი რეაგირება.

შეუძლია მებოსტნის პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით, შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე.

გათავისებული აქვს მებოსტნის პროფესიული საქმიანობისათვის

	<p>დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.</p> <p>იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.</p>
დადასტურება	<p>ტესტირების და გამოცდების შედეგები, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის სხდომის ოქმები.</p>

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

აღწერა	<p>სტუდენტის სტატუსის მოპოვება: პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის საჭიროა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მოთხოვნადი საბუთების წარმოდგენა; <ol style="list-style-type: none"> ა) ერთი ფოტოსურათი; ბ) განცხადება; გ) საბაზო/საშუალო ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი; დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ე) საჭიროებისამებრ სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია; 2. ჩარიცხვისათვის შესაბამისი პროცედურების გავლა (განხილვა); შემდეგ კოლეჯის დირექტორი გამოცემს ბრძანებას თანდართული ნუსხით, სადაც მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუს მოპოვებულ სტუდენტთა გვარი, სახელი და პირადი ნომერი. <p>სტუდენტის სტატუსის შეჩერება: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:</p> <ol style="list-style-type: none"> ა) სტუდენტის ავადმყოფობა; ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებით ნორმების დარღვევა; გ) პროფესიული სტუდენტის დისციპლინურ პასუხისგებლობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება; დ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა; ე) პირადი წერილობითი განცხადება; ვ) სასწავლო კურსში უარყოფითი შეფასება; ზ) პროფესიული-საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები. <p>2. პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან, საიდანაც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი;</p> <p>3. სასწავლო კურსში უარყოფითი შეფასების მიღებისას პროფესიულმა სტუდენტმა ახლიდან უნდა გაიაროს შესაბამისი სასწავლო კურსი. თუ დამატებით გამოცდაზე პროფესიულმა სტუდენტმა ვერ გადალახა ბარიერი და მიიღო უარყოფითი შეფასება, მას:</p> <ol style="list-style-type: none"> ა) ან შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი მომავალი ახალი ჯგუფის დაკომპლექტებამდე; ბ) ან ინდივიდუალურად გაივლის სასწავლო კურსს/პრაქტიკას/მოდულს ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას; გ) ან ისარგებლებს მობილობის უფლებით.
---------------	---

პროფესიული სტუდენტი იღებს გადაწყვეტილებას ზემოთ ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთზე.

5. სტატუსის შეჩერების მაქსიმალური დრო 2 წელია. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ პროფესიული სტუდენტს უწყდება სტატუსი სამი თვის ვადით, ხოლო სამი თვის გასვლის შემდეგ პირმა პროფესიულ სტუდენტის სტატუსი ახლიდან უნდა მოიპოვოს, იმ დროისათვის დადგენილი წესის დაცვით;

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა მოხდება დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც აღმოიფხვრება სტატუსის შეჩერების საფუძველი;

7. პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, თუ მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან სამ სამუშაო დღეში.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:

- ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- ბ) შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის ვადის დადგომა;
- გ) მომქმედი კანონმდებლობისა და უფლებამოსილი პირის მიერ პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა;
- დ) გარდაცვალება

2. პირს რომელსაც შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან სამ სამუშაო დღეში.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახალი მოპოვება დასაშვებია სტატუსის არღვევისთვის დადგენილი წესით.

მობილობა:

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით, რაც გულისხმობს ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ პროგრამაზე როგორც დაწესებულების სივრცეში (შიდა მობილობა) ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (გარე მობილობა) გადასვლას;

2. მობილობა დასაშვებია მხოლოდ ერთი და იმავე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის;

3. კოლეჯი, როგორც ამავე კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, ასევე სხვა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს ხელს უწყობს მობილობით სარგებლობაში, რისთვისაც დირექტორის ბრძანებით გამოიცა მობილობის პროცედურები და პირობები.

4. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს მობილობით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ დროს, რისთვისაც მან დაწესებულებას უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით.

5. კოლეჯი მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტისთვის უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის, მათ შორის პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების შესახებ ინფორმაციის, სამი სამუშაო დღის ვადაში მომზადებას.

6. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით სხვა კოლეჯებიდან გამომსვლელთათვის ცხადდება მობილობის პერიოდი, ვადები წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა პირობები. ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაცია დაინტერესებულ

	<p>პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე. 7.მობილობის პროცედურების დასრულების შემდეგ ჩარიცხვის თაობაზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა მეზოსტნეობის II საფეხურის მობილობა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმომსვლელთათვის მობილობა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ დასრულების შემდეგ. დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მობილობის ვადის, განაცხადის წარდგენისა და პირობების საჯაროდ გამოცხადებას ვებ-გვერდის საშუალებით. დაწესებულების პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა მიერ სხვა დაწესებულებაში მობილობით სარგებლობის უფლება აქვთ ნებისმიერ დროს წერილობითი განცხადების საფუძველზე.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა მეზოსტნეობის III საფეხურის მობილობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმომსვლელთათვის მობილობა შესაძლებელია სასწავლო კურსების „აგროქიმია“ და „მიწათმოქმედება“ დასრულების შემდეგ. დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მობილობის ვადის, განაცხადის წარდგენისა და პირობების საჯაროდ გამოცხადებას ვებ-გვერდის საშუალებით. დაწესებულების პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა მიერ სხვა დაწესებულებაში მობილობით სარგებლობის უფლება აქვთ ნებისმიერ დროს წერილობითი განცხადების საფუძველზე.</p> <p>აღიარება არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარების და ღირებულებების შემოწმების და შესაბამისი დარგის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან მისი შედარების გზით, შესაძლებელია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება. არაფორმალური განათლების აღიარებისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია რომელიც იღებს გადაწყვეტილებას აღიარების ან არ აღიარებაზე. არაფორმალური განათლების აღიარება რამდენიმე ეტაპად იყოფა: ა) განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა; ბ) დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება; გ) გამოცდების ორგანიზება; დ) პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა ჩათვლა-აღიარება; ე) შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.</p>
დადასტურება	დებულება, პროგრამების განხორციელების და მასზე პირთა ჩარიცხვის ზოგადი წესი. მეზოსტნის II და III საფეხურის პროგრამები

<p>1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები</p>	
აღწერა	პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	<p>არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებს შორის. დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შესახებ.</p> <p>პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით უზრუნველყოფს მის გადაყვანას მსგავსი სახის პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.</p>
დადასტურება	დებულება, მემორანდუმი N4-161, 2015 წლის 2 ნოემბერი

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

აღწერა	<p>კოლეჯს აქვს შემუშავებული შეფასების სისტემა- ანონიმური გამოკითხვის ანკეტები, რომლის შედეგებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:</p> <p>კოლეჯი წლის განმავლობაში პედაგოგების მუშაობის შეფასების მიზნით, ატარებს სტუდენტებთან ანონიმურ ტესტურ გამოკითხვას. ანკეტების შეფასების ანალიზის შემდეგ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მიმდინარეობს პედაგოგებთან შეხვედრა. პედაგოგები აკვირდებიან თავიანთ სუსტ და ძლიერ მხარეებს. კოლეჯი აწარმოებს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. სტუდენტებზე და პედაგოგებზე დაკვირვების შემდეგ მიმდინარეობს კონსულტაციები სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.</p>
დადასტურება	მეზოსტნის II და III პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურებზე ჩატარებული ანონიმური გამოკითხვის ანკეტები.

1.7 საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები

ცვლილების აღწერა
ცვლილების მიზანი
ცვლილების შედეგი

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი: 986 კვ.მ

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: შენობის ფართი 196 კვ.მ

აღწერა	პროფესიული კოლეჯი მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში. აქვს ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა, რომელსაც განკარგავს 20 წლიანი ქვეიჯარის საფუძველზე.
ფაქტობრივი მისამართი	საგარეჯოს რაიონი, სოფელი ნინოწმინდა
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	55.13.51.255
კვ.მ.	986 კვ.მ
დადასტურება	ქვეიჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარესთან“ 2015 წლის, 29 ოქტომბერი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 2015 წლის, 30 ოქტომბერი.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი

აღწერა	კოლეჯს გააჩნია სათანადო ინვენტარით (ავეჯი, ტექნიკა, მასალები, იარაღები...) აღჭურვილი სასწავლო ფართი, აუდიტორია, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის
--------	--

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმეფასების წლიური ანგარიში

	<p>ოთახი და სამედიცინო პუნქტი. დაწესებულებას ასევე აქვს პრაქტიკის განხორციელებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი და სათბური. კოლეჯი განთავსებულია ერთ სართულზე. სართულზე განთავსებულია 4 ოთახი:</p> <p>1) აუდიტორია: ნათელი დიდი ოთახი ბუნებრივი განათებით (4 ფანჯრით), რომელშიც დგას მაგიდა სტუდენტებისთვის, 26 სკამი, 8 კომპიუტერის მაგიდა რვა პერსონალური კომპიუტერით, მასწავლებლის მაგიდა მოძრავი სავარძელით, ერთი ნოუტბუქი მასწავლებლისთვის, კედლის ორი დაფა და დასადგამი დაფა მარკერებით, პროექტორი, ორი პრინტერი, აუდიო/ვიდეო აპარატურა, ორი წიგნების კარადა, ორი საწერი მაგიდა, ოთხი განათების საშუალება - ჭალი, ორი გაზის გამათბობელი.</p> <p>2) ბიბლიოთეკა: ნათელი ოთახი ბუნებრივი განათებით (ერთი ფანჯრით), დგას სამი მაგიდა, სამი სკამი, ერთი პრინტერ-სკანერი, სამი კომპიუტერი, სტელაჟები წიგნებით, კართოთეკის კარადა, ერთი განათების საშუალება - ჭალი, ერთი გაზის გამათბობელი.</p> <p>3) სამედიცინო პუნქტი: პატარა ოთახი სველი წერტილით, ორი მაგიდა, სკამები, სამედიცინო ტახტი, ტუმბო და კედლის თარო წამლებისათვის, ერთი განათების საშუალება - ჭალი.</p> <p>4) ადმინისტრაცია: ნათელი ოთახი ბუნებრივი განათებით (ერთი ფანჯრით), დგას ოთხი მაგიდა, ოთხი მოძრავი სავარძელი, სამი კომპიუტერი, ერთი პრინტერი, ერთი განათების საშუალება - ჭალი, ერთი გაზის გამათბობელი.</p>
დადასტურება	ინვენტარიზაციის აქტი, ვიზუალური დათვალიერება

<p>2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები</p>	
აღწერა	<p>კოლეჯს აქვს უწყვეტი დენის წყარო, ასევე გენერატორი, აქვს 2 სველი წერტილი სამედიცინო ოთახში და ტუალეტში.</p> <p>ყველა ოთახი არის ბუნებრივი განათებით - ფანჯრიანი.</p> <p>ყველა ოთახში დამონტაჟებულია უსაფრთხო გაზის გამათბობლები.</p>
დადასტურება	ინვენტარიზაციის აქტები, ხელშეკრულება კახეთის ენერჯო დისტრიბუციასთან

<p>2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას</p>	
აღწერა	<p>ბიბლიოთეკა განთავსებულია აუდიტორიასთან ახლოს. ოთახი არის ნათელი, კეთილმოწყობილი და აღჭურვილია საჭირო ინვენტარით: ოთახში არის სამუშაო მაგიდები და სკამები, კომპიუტერები. ბიბლიოთეკაში არსებულ თაროებზე გამიჯნულია სასწავლო და მხატვრული ლიტერატურა. დაწესებულების საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია როგორც ბეჭდურ კატალოგში, ისე ელექტრონულ საძიებო სისტემაში. სისტემა განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.farmersschool.ge ყველა სტუდენტს და სხვა დაინტერესებულ პირებს აქვს საშუალება მოიძიოს საჭირო ლიტერატურა და იმუშაოს კომფორტულ გარემოში.</p> <p>ბიბლიოთეკას ასევე აქვს კართოტეკა და კატალოგი, გახსნილია მკითხველთა ბარათები, რომლის საშუალებითაც ადვილად და სწრაფად მოიძიება მოთხოვნილი ლიტერატურა. არსებობს რეგისტრირებული სამი საინვენტარო წიგნი (ქართული,</p>

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	<p>რუსული და ინგლისური ლიტერატურისათვის).</p> <p>კოლეჯის ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამაში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.</p> <p>საბიბლიოთეკო ფონდი: 206 წიგნი, აქედან სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეადგენს 50 წიგნს.</p> <p>ბიბლიოთეკის შინაგანაწესი გამოკრულია კედელზე.</p> <p>ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე ორშაბათიდან შაბათის პარასკევის ჩათვლით. შაბათს 10:00 სთ- დან 16:00 სთ-მდე.</p>
დადასტურება	<p>ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნები;</p> <p>შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შემოწირობის აქტები;</p> <p>ელექტრონული კატალოგი (http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/128473) ადგილზე დათვალიერება.</p>

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

აღწერა	<p>საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება: საგანმანათლებლო საქმიანობაში, სტუდენტების მიერ უახლესი და საჭირო ინფორმაციის მოძიებაში, ელექტრო-ბიბლიოთეკის მოხმარებაში, ასევე დაწესებულების მართვაში. კოლეჯს გააჩნია ვებ-გვერდი: www.farmersschool.ge</p>
დადასტურება	<p>ხელშეკრულება N41, 2016 წლის 27 ოქტომბერი შპს „კავკასუს ონლაინთან“ დომენური სახელის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ;</p> <p>ხელშეკრულება N30, 2017 წლის 20 თებერვალი კომპანია შპს „დელტა-ნეტთან“ ინტერნეტის მიწოდების შესახებ;</p> <p>ხელშეკრულება N6, 2017 წლის 17 იანვარი კომპანია სს „სილქნეტთან“ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ.</p>

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

აღწერა	<p>დაწესებულებაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, დიპლომების გაცემის წიგნის წარმოება, ასევე ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.</p>
დადასტურება	<p>ქურნალები</p>

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	<p>კოლეჯში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილია სპეციალური პერსონალი. საგანგებო სიტუაციებში მათი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია დირექტორის ბრძანებაში. საევაკუაციო გეგმის მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისათვის აუდიტორიაში და აივანზე დგას ცეცხლმაქრი.</p>
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	<p>თვალსაჩინო ადგილებში: აუდიტორიაში, ბიბლიოთეკაში და ადმინისტრაციის ოთახში გამოკრულია ევაკუაციის გეგმა.</p> <p>საევაკუაციო გეგმასთან ერთად გამოკრულია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქცია.</p>

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
კოლეჯის შენობაში გამოყოფილია სამედიცინო პუნქტი. პუნქტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით: კარადა წამლებისათვის, ტახტი პაციენტებისათვის, წამლები და სხვა პირველადი დახმარების საშუალებები. სამსახურში დასაქმებულია ლიცენზირებული მედდა სრულ შტატზე.	
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები	
წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილია სათვალთვალ კამერებით, რომელიც დაყენებულია დაწესებულების გარე პერიმეტრის დაცვისთვის. კოლეჯი აყვანილია აღრიცხვაზე დაცვის პოლიციაში, დამონტაჟებულია სიგნალიზაცია.	
დადასტურება	ადგილზე დათვალიერებით; შრომითი ხელშეკრულება სამედიცინო პერსონალთან 2017 წლის, 13 თებერვალი N20; დირექტორის ბრძანება N19, 2016 წლის 15 თებერვალი, ხელშეკრულება კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამართველოსთან 2017 წლის 17 იანვარი N5; ხანძრსაწინააღმდეგო ინვენტარის შემენის დოკუმენტაცია.

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის	
აღწერა	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის არის დამონტაჟებული პანდუსები და ტუალეტში ხელსაკიდი.
დადასტურება	ვიზუალური დათვალიერება

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი	
აღწერა	დაწესებულებას გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია კოლეჯის საქმიანობის ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები-დაწესებულების მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.
დადასტურება	ხელშეკრულება დომენური სახელის სარგებლობით გადაცემის შესახებ N41, 2016 წლის 27 ოქტომბერი; კოლეჯის ვებ-გვერდი: www.farmersschool.ge

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
აღწერა	კოლეჯს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. კოლეჯის გრძელვადიანი ექვსწლიანი გეგმის შესასრულებელი ძირითადი ამოცანებია: ა) საქართველოს რეგიონებში ფერმერთა სკოლის ქსელის ეტაპობრივად შექმნა; ბ) ყოველწლიურად სხვადასხვა რეგიონებში ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა; გ) მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

	<p>არამხოლოდ სოფლის მეურნეობის მიმართულებით; დ) პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა; ე) პროგრამების შესაბამისი მატერიალური და სასწავლო რესურსის რეგულარული, ყოველწლიური შეფასება - გაუმჯობესება; ვ) სასწავლო პროცესის, სწავლების შეფასება - გაუმჯობესება; ზ) პარტნიორობის გაფართოება როგორც სასწავლო დაწესებულებებთან, ასევე დამსაქმებლებთან და დონორ ორგანიზაციებთან.</p> <p>კოლეჯის გრძელვადიანი ერთწლიანი გეგმის შესასრულებელი ძირითადი ამოცანებია: ა) ადგილობრივი მოსახლეობის საკონსულტაციო მომსახურების დანერგვა. ბ) შემოსავლის მომტან ინოვაციურ პროექტებზე მუშაობა. გ) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა-განხორციელება. დ) მასწავლებელთა პროფესიონალიზმის საჭიროებებზე მუშაობა. ე) ძირითადი შენობის ფასადის რემონტი-შეკეთება. ვ) ვებ-გვერდის უწყვეტი ადმინისტრირება. ზ) სათბურის განახლება.</p>
დადასტურება	<p>პროფესიული კოლეჯის ფერმერთა სკოლის განახლებული ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმა (2017-2022 წელი). დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის N1 ბრძანებით, 2017 წლის 4 იანვრი.</p>

2.10	<p>საანგარიშო პერიოდში მატერიალური რესურსის სტანდარტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები</p>
ცვლილების აღწერა	
ცვლილების მიზანი	
ცვლილების შედეგი	

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები	

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

აღწერა	დაწესებულების პერსონალს დაკავებული აქვს თანამდებობასთან შესაბამისი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება.
დადასტურება	პერსონალის პირადი საქმეები

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

აღწერა	დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლებთან. კოლეჯს ამჟამად, პროფესიული პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჰყავს 8 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი 3 მასწავლებელი.
დადასტურება	მასწავლებლების პირადი საქმეები; ხელშეკრულებები.

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

აღწერა	კოლეჯს ჰყავს: მებოსტნის II საფეხურზე 8 სტუდენტი და 3 პედაგოგი; მებოსტნის III საფეხურზე 8 სტუდენტი და 3 პედაგოგი;
---------------	--

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	მებოსტნის II საფეხურზე 8 სტუდენტი მებოსტნის III საფეხურზე 8 სტუდენტი
--	---

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	მეზოსტნის II საფეხურზე 8 სტუდენტი მეზოსტნის III საფეხურზე 8 სტუდენტი
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობიდან სსსმ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა	მეზოსტნის II საფეხურზე 8 სტუდენტი

დაწესებულებაში მასწავლებელთა რაოდენობა	
მასწავლებელთა რაოდენობა	3

დადასტურება	ხელშეკრულება N29, 2017 წლის 14 თებერვალი; ხელშეკრულება N28, 2017 წლის 14 თებერვალი; ხელშეკრულება N27, 2017 წლის 14 თებერვალი;
--------------------	---

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

აღწერა	პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება დაწესებულების დებულებით, რაც ითვალისწინებს განსაზღვრული მასწავლებლის შერჩევის წესს, რომელიც შესაძლოა იყოს პირდაპირი დანიშვნით ან/და კონკურსით შერჩევა. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის დაცვით. დაწესებულებაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელიც ასევე არეგულირებს შრომით ურთიერთობებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო პერსონალის შერჩევისას გათვალისწინებული იქნა პედაგოგების კვალიფიკაცია, გამოცდილება და სტაჟი (არანაკლებ 5 წლის).
დადასტურება	დირექტორის ბრძანება დებულების შესახებ N2, 2015 წლის 20 ოქტომბერი. მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები.

3.5	საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები
ცვლილების აღწერა	
ცვლილების მიზანი	

ცვლილების შედეგი
ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

4. თვითშეფასების წლიური ანგარიშის შემუშავების პროცესის აღწერა და პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების ან/და პირების შესახებ ინფორმაცია

თვითშეფასების წლიური ანგარიშის შემუშავებისათვის პროცესში ჩართულია ფერმერთა სკოლის დირექტორი - ლალი ალფაიძე, ტელ: 595 53 84 07 ელ-ფოსტა: l.alpaidze@agruni.edu.ge
დირექტორის თანაშემწე - ნანა თევდორაძე, ტელ: 577 72 22 77 ელ-ფოსტა: nana.tevdoradze@gmail.com
ხარისხის მართვის სპეციალისტი - მია პატარიძე, ტელ: 595 11 49 84 ელ-ფოსტა: maikopataridze@gmail.com

მუშაობა მიმდინარეობდა კოლეჯში არსებული დოკუმენტაციის გამოყენებით კერძოდ: ნორმატიული აქტები (კოლეჯის წესდება და დებულება, შინაგანაწესი), ბრძანებები, ხელშეკრულებები, საინვენტარო აქტები, სასწავლო პროგრამები, სილაბუსები, ანონიმური გამოკითხვის ანკეტები და ვიზუალური აღწერა.

თანდართული დოკუმენტაცია	
-------------------------	--

შევსების თარიღი	
-----------------	--